



Eastern Partnership Territorial Cooperation
Территориальное сотрудничество
стран Восточного партнерства

EASTERN PARTNERSHIP TERRITORIAL COOPERATION

პრეს- რელიზი

საქართველო და სომხეთი ახდენენ ტერიტორიული თანამშრომლობის პრიორიტეტების ინდორსირებას. 20 ივნისი, 2014, დილიჯანი, სომხეთი—დღეს, საქართველო—სომხეთის ტერიტორიული ურთიერთთანამშრომლობის პროგრამის ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღებმა კომისიამ (JDMC) მიიღო ერთობლივი საოპერაციო პროგრამა.

ერთობლივი სამოქმედო პროგრამა (JOP) საქართველო—სომხეთის ტერიტორიულ თანამშრომლობაში ადგენს ძირითად ჩარჩოებს: მთავარ მიზნებს და პრიორიტეტებს, პროგრამის მოთხოვნებს და ბენეფიციარებს და აგრეთვე პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმებს. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 1.35 მილიონ ევროს. პროექტი მოიცავს სომხეთის ტერიტორიაზე არსებულ შემდეგ რეგიონებს: ლორე, შირაკი, თავუში და ქვემო კართლსა და სამცხე-ჯავახეთს—საქართველოში. ერთობლივი დოკუმენტის დამტკიცება და მიღება გზას უკვალავს 2014 წლის ივლისის მოწოდებას . ტერიტორიული ურთიერთთანამშრომლობის პროგრამა— საქართველო—სომხეთი არის პირველი იმ ოთხი პროგრამიდან აღმოსავლეთის პარტნიორ ქვეყნებში, რომლითაც იწყება პროექტების კონკურსები.

„ სომხეთი აქტიურად უჭერს მხარს ტერიტორიული ურთიერთთანამშრომლობის იდეას და არის პირველი საქართველოსთან ერთად, რომელმაც მოახდინა (JOP)-ის ინდორსირება.“— აღნიშნა ვაჩე ტერტერიანმა, სომხეთის ტერიტორიული მართვის მინისტრის პიველმა მოადგილემ და საინაოგურაციო JDMC-ის შეხვედრის თავჯდომარემ. „ ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა საქართველო—სომხეთი უფრომ მეტად შეუწყობს ხელს მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას მეზობელი რეგიონების ხალხებს შორის ისეთ სფეროებში როგორცაა: მიწათმოქმედება, ტურიზმის განვითარება, ბიზნესი, გარემოს დაცვა, განათლება, კულტურა და სპორტი“— განაცხადა ალექსეი საკარევა, EaPTC მხარდამჭერი პროგრამის თიმ ლიდერმა.

JOP არის სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც მომზადდა სომხეთის ტერიტორიული მართვის სამინისტროს და საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთიანი ლიდერობით და აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის მხარდამჭერი პროგრამის რჩევით და საექსპერტო შეფასებით .

JDMC მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროგრამის განხორციელებაში და ახდენს საქართველოს და სომხეთის იმ პირების შეკრებას მოლაპარაკების მაგიდასთან, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ. ესენია: ცენტრალური სამთავრობო ინსტიტუტების წარმომადგენლები, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლება, და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ორივე ქვეყნიდან. კომიტეტის ხელმძღვანელობა ხდება როტაციულ საფუძველზე ბატონი ვაჩე ტერტერიანის, ტერიტორიული მართვის მინისტრის პირველი მოადგილის და ბატონი თენგიზ შერგელაშვილის, საქართველოს ტერიტორიული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილის მიერ.

ბეჭრაუნდი: არმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის (EaPTC) საერთო მიზანია გააძლიეროს ტერიტორიული თანამშრომლობა ადგილობრივ მთავრობებს, ამხანაგობებს და სამოქალაქო საზოგადოებების ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მდებარეობს სომხეთ—საქართველოს, აზერბაიჯან—საქართველოს, ბელარუს—უკრაინის, მოლდოვა—უკრაინის საზღვრების გასწვრივ. იმისათვის, რომ ერთობლივად განავითარონ და შეასრულონ საზღვართშორისო პროექტები.ევრო გაერთიანების მთლიანი კონტრიბუცია EaPTC -ში შეადგენს—12.5 მილიონ ევროს.

არმოსავლეთ პარტნიორობა (EaP) არის ევრო გაერთიანების ინიციატივა ექვს ქვეყანაში არმოსავლეთ ევროპაში და სამხრეთ კავკასიაში: სომხეთ, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. ამ ინიციატივის მიზანია ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბება აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევრო გაერთიანებას შორის, მათი პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას.

საქართველო—სომხეთის პროგრამის შესახებ მეტი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით EaPTC-ის მხარდამჭერ პროგრამას: office@eaptc.eu ან ეწვიეთ <http://eaptc.eu/en/program/view-armenia-georgia.html>

<http://www.eaptc.eu>

<https://www.facebook.com/eaptc.eu>

https://twitter.com/EaP_TC

<http://www.linkedin.com/groups/EaPTC-5109143>